OPD11/14-087 5 ნოემბერი 2014 წ.

სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს“

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ 2012 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე:

1. **რამდენი განცხადება შემოვიდა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის საკითხებთან დაკავშირებით;**

2. **რამდენი განცხადება შემოვიდა ყოფილი პატიმრებისგან წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის საკითხებთან დაკავშირებით;**

3. **რამდენ განმცხადებელს, რომელიც თვლის თავს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის მსხვერპლად, გაუწიეთ დახმარება;**

4. **რა სახის დახმარება გაუწიეთ ამ წერილის მესამე პუნქტში დასახელებულ პირებს;**

5. **რამდენმა გადახდისუუნარო განმცხადებელმა მოგმართათ, რომელიც თვლის თავს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის მსხვერპლად;**

6. **რა სახის დახმარება გაუწიეთ ამ წერილის მეხუთე პუნქტში დასახელებულ პირებს.**

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი